# პროექტის ფაქტები

ევროკავშირი საქართველოსთვის
The European Union for Georgia

**საქართველოში შრომის პირობების/შრომითი ურთიერთობების, აგრეთვე სამუშაო ადგილზე ჯანმრთელობის დაცვისა და შრომის უსაფრთხოების სტანდარტების გაუმჯობესება**

**განხორციელების ვადა:** 07.10.2019 - 06.11.2022

**EaP ქვეყნები:**
Georgia

**ევროკავშირის წვლილი:** € 1 500 000

**მთლიანი ბიუჯეტი:** € 1 500 000

**განმახორციელებელი ორგანიზაცია (ებ):**
Slovenská Republika, Regional Development Agency Senec-Pezinok



**სოციალური მედიის ანგარიშის ბმულები:**
Facebook შრომის ინსპექცია / Georgian Labour Inspection

**პროექტის ვებსაიტები:** www.moh.gov.ge

**პროექტის აღწერა:**

პროექტი წარმოადგენს ევროკავშირის Skills4Jobs პროგრამის მეორე ფაზის ნაწილს, რომლის მიზანია გააუმჯობესოს საქართველოს ეკონომიკური მდგრადობა და ზრდა ადამიანური კაპიტალის განვითარებითა და უნარების თავსებადობით. ტვინინგის პროექტი მუშაობს საქართველოს ოკუპირებულ ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალურ საქმეთა სამინისტროსთან, რათა ჩამოყალიბდეს დასაქმების ურთეირთობისა და სამუშაო პირობების უკეთესი სტანდარტები. პროექტის მიმართულებებია:
-შრომის, გენდერული თანასწორობის და შრომის უსაფრთხოების შესახებ არსებული ძირითადი კანონებისა და კანონქვემდებარე აქტების დაახლოება ევროკავშირის მოთხოვებთან
-სამართლებრივი ბაზისა და მისი აღსრულების მექანიზმების გაუმჯობესება
-შესაძლებლობების გაძლიერება და უწყებათაშორისი თანამშრომლობის გაძლიერება.
-ეფექტიანი და დაბალანსებული შრომის ინსპექციის შექმნა და ფუნქციონირება.
-შრომის ინსპექტორების რესურსების გაძლიერება ეფექტიანი მეთოდოლოგიის დანერგვითა და ტრენინგების ჩატარებით.

**მოსალოდნელი შედეგები:**

- უსაფრთხოების შესახებ არსებული ძირითადი კანონებისა და კანონქვემდებარე აქტების დაახლოვება Union acquis-სთან;
- შრომის, გენედერული თანასწორობისა და შრომის უსაფრთხოების კანონებში შეტანილი ცვლილებების სრულად განხორციელების მიზნით კომპეტენციების განვითარება
- ინსტიტუციური თანამშრომლობა და შესაბამისი სახელმწიფო უწყებებისა და კერძო სექტორის წარმომადგენელთა ცნობიერების ამაღლება.